10/02/2026

MES 7 26 0000144087

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლა:
ემზარ პაპიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა:
თამილა შულაია - სკოლის დირექტორი
სსიპ - როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა:
ლალი აბჟანდაძე - სკოლის დირექტორი
შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა- ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი:
დავით კახნიაშვილი - სკოლის დირექტორი;
იზაბელა იოსელიანი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლა:
ცისნამი აზრუმელაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლა:
ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიკა კირვალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ - ცისარტყელა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა:

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა მახარობლიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა- ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი:
ა)გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნელიკო მათეშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლა:
ა)ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სხვა დამსწრე პირები

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის საკითხთან დაკავშირებით:
თამარ საბულუა - მშობელი;
ლალი პეტრიაშვილი - მშობლის წარმომადგენელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 28 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

2.ა(ა)იპ - ცისარტყელაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა- ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6.სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 28 იანვარი.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

1. სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N1567749 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 45 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 30.
ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების

შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შეფასების პროცესში დაფიქსირდა ხარვეზები. კერძოდ, სკოლა არ ახორციელებდა პერსონალის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას, არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალის პროფესიული საჭიროებების საპასუხო გეგმა და შესაბამისად, არ ხდებოდა პერსონალის პროფესიული განვითარება გეგმის მიხედვით. ასევე, სკოლის საქმისწარმოების წესი არ იყო სკოლის არსებული რეალური ქმედებების შესაბამისი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა შემდეგისა: მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებისა და საზოგადოებისთვის გაზიარებისა; შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის კონკურსის წესით დანიშვნის, ვებ-გვერდზე მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სკოლის სტრუქტურის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებისა და საკონტაქტო ინფორმაციის განთავსების, ასევე მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მექანიზმის შემუშავების და ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდებისა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ 1-ელ სტანდარტთან მიმართებით ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები სკოლის მიერ არ იყო გათვალისწინებული.
სკოლის დირექტორმა, ემზარ პაპიძემ, განმარტა, რომ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი ვერ შესრულდა ობიექტური გარემოებების გამო, თუმცა აღნიშნა, რომ სამომავლოდ სკოლა აუცილებლად გაითვალისწინებდა ყველა რჩევასა და რეკომენდაციას.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა სკოლის წარმომადგენელი რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ კათედრები შეიკრიბებოდნენ და ეტაპობრივად გაითვალისწინებდნენ თითოეულ რეკომენდაციას. ამასთან, აღნიშნა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ექთნის ვაკანსია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 14:55

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის (ს/კ: 223364357) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 28 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში სკოლამ წარმოადგინოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და აღნიშნული დოკუმენტების გაზიარების, ამასთან, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების სისტემური მონიტორინგისა და შეფასების, მათი განხორციელების შედეგების საჯაროობის და მიღებული შედეგების სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში გამოყენების მტკიცებულებები. ასევე, სკოლამ უნდა განსაზღვროს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მკაფიო, გამჭვირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი მექანიზმები. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის, ასევე მომსახურების საფასურის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის საჯაროობა. საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის შიდა პოლიტიკა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის წესები.
სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდება, ხოლო მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებული განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირი, აგრეთვე გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები. გარდა ამისა, სკოლამ უნდა წარმოადგინოს ექიმისა და/ან ექთნის დასაქმების, მასწავლებლებთან მათი სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, „მე და საზოგადოების“ და სამოქალაქო განათლების მიმართულებით კვალიფიციური თანამშრომლების დასაქმების, ასევე, განსაზღვრული უნდა იყოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირების მექანიზმები, აგრეთვე უნდა წარმოადგინოს მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებისა და მისი საქმიანობის სათანადო დოკუმენტირების მტკიცებულებები.
აგრეთვე,სკოლამ ვებ-გვერდზე უნდა განათავსოს 2024–2025 და 2025–2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებისა და გასაჩივრების მექანიზმები, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის

დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები. ამასთან, სკოლამ უნდა წარმოადგინოს ვიდეოსამეთვალყურეო კამერების გამართულად მუშაობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე - შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. ა(ა)იპ - ცისარტყელაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 20 და 21 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლამ მიმართა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლამ 2025 წლის 30 ივნისს დირექტორის ბრძანების საფუძველზე განახორციელა რეორგანიზაცია, შესაბამისად, ყველა თანამშრომელს, გარდა ადმინისტრაციისა და საბავშვო ბაღის თანამშრომლებისა, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულებები და ამავე წლის 21 აგვისტოს ბრძანებით სკოლამ შეწყვიტა ფუნქციონირება. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, სკოლამ წერილობით მიმართა ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს და წარადგინა ინფორმაცია იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც სასწავლო პროცესი აღარ განახლდა. მათ შორის, დაწესებულებამ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დაასახელა ავტორიზაციის პროცესში შემუშავებული "სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით" გათვალისწინებული მოთხოვნის - არასერტიფიცირებული მასწავლებლების სერტიფიცირებულებით ჩანაცვლების -შეუსრულებლობა. ასევე, ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო ის, რომ სკოლამ ვერ შეძლო საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის და კვალიფიციური პედაგოგების არარსებობის გამო, რაც მნიშვნელოვნად აისახა მოსწავლეთა გადინებაზე. სკოლა წერილში აღნიშნავდა, რომ თანამშრომლებისა და მშობლების ერთობლივი მცდელობებიც კი ვერ აღმოჩნდა შედეგიანი და შესაბამისად, ა(ა)იპ „ცისარტყელას" გამგეობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაწესებულებამ არ გააგრძელა სასწავლო პროცესი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქალაქ მცხეთის რესურსცენტრის უფროსმა წერილობით აცნობა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსს, რომ მის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე კერძო სკოლამ — ა(ა)იპ „ცისარტყელამ"-2025 წლის 15 სექტემბრის №03/03-17 წერილის (რესურსცენტრში რეგისტრაციის №1142564; 15/09/2025) საფუძველზე დროებით შეაჩერა საგანმანათლებლო საქმიანობა. თავის მხრივ, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსმა 2025 წლის 9 სექტემბერს (MES 0 25

0001224883) საპასუხო წერილით მიმართა ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ხოლო წერილის ასლები გაუგზავნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტს. წერილში ასევე, აღნიშნული იყო, რომ eSchool-ის მონაცემების გადამოწმების შედეგად დადგინდა: ა(ა)იპ „ცისარტყელაში" სხვადასხვა კლასში ირიცხებოდა 13 აქტიური მოსწავლე, შესაბამისად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსმა რესურსცენტრს სთხოვა, უმოკლეს ვადაში, დაედასტურებინა საგანმანათლებლო საქმიანობის შეჩერების ფაქტი და მიეწოდებინა ინფორმაცია აღნიშნულ მოსწავლეებთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.
შემდგომში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა წერილობით მიმართა ა(ა)იპ „ცისარტყელას"და აცნობა, რომ ცენტრში 2025 წლის 25 სექტემბერს შესული №1224883 წერილით დაფიქსირდა სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის დროებითი შეჩერების შესახებ მიწოდებული ინფორმაცია. ამასთან, განმარტებული იყო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება" არ ითვალისწინებდა ავტორიზაციის შეჩერების მექანიზმს.
წერილით განმარტებული იყო, რომ დაწესებულებას უფლება ჰქონდა, მიემართა ცენტრისთვის ავტორიზაციის გაუქმების მოთხოვნით, თუმცა მსგავსი შუამდგომლობით სკოლას ცენტრისთვის არ მიუმართავს, შესაბამისად, 2025 წლის 11 ნოემბრის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დაინიშნა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის პროცესი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა გასაუბრებები სკოლის დირექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენელთან. ამასთან, eSchool-ში არსებული მონაცემების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მონიტორინგის ჩატარების პერიოდში დაწესებულებაში აქტიური მოსწავლეები აღარ ირიცხებოდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტს, შეეფასებინა, ჰქონდა თუ არა სკოლას პოტენციალი დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრისთვის.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერ შეძლეს სკოლის ფუნქციონირების შენარჩუნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ცისარტყელას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 27-ე მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ცისარტყელას (ს/კ: 204441069) გაუუქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 28 იანვარი.

3. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1642564 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 154 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 71.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, ხოლო ნაწილობრივ იყო შესრულებული ის რეკომენდაცია,

რომელიც ეხებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებას და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებას, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის (სკ/: 235444382) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 28 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის დეკემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 ნოემბრის N1567758 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 300 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 184.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლამ ვერ წარმოადგინა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი კანონით დადგენილ სპეციალობაში, ვერ დადასტურდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ ნაწილობრივ იყო შესრულებული ის რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (სოფელ ბაჯითში მდებარე შენობისთვის) და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:30
დასრულების დრო: 15:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის (ს/კ: 239404042)მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 28 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე სოფელ ბაჯითში მდებარე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟების, სოფელ საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერისა და ძირითად (სარეკის) შენობაში პანდუსის/ლიფტის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან იყო შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის დირექტორი. აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ.
სანამ ექსპერტი წარდგენას დაიწყებდა, მშობლის რწმუნებულმა, ლალი პეტრიაშვილმა, ითხოვა თანხმობა ჩანაწერის გაკეთებასთან დაკავშირებით. მან ასევე, აღნიშნა რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა მშობელი, თამარ საბულუა.
საბჭომ ჩანაწერის გაკეთებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააკმაყოფილა.
ცენტრის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ჩანაწერის გაკეთება შესაძლებელი იყო მხოლოდ აღნიშნული სკოლის საკითხის განხილვის მიმდინარეობისას.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, განაგრძო საკითხის წარდგენა და განმარტა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის ქუჩა N12-ში.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 1300 მოსწავლით. ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1006.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 ნოემბერს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანი იყო ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.
ექსპერტის თქმით, ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩაატარეს ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან.
ასევე, ცენტრის ორგანიზებით, მშობელთან, თამარ საბულუასთან, ჩატარდა ინტერვიუ დისტანციურ ფორმატში (Zoom პლატფორმის გამოყენებით).
ექსპერტმა დამატებით, განმარტა, რომ 2024 წელს სკოლაში განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი და მომზადებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას დაენიშნა მონიტორინგი ოთხივე სტანდარტზე. რადგან აღნიშნული წარმოება დასრულებული იყო, ახალი წარმოების ფარგლებში ექსპერტებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ის საკითხები, რომლებიც გასაუბრების დროს დაფიქსირდა, დეტალურად შეესწავლათ. თუმცა, ვიზიტის დროს, გადამოწმდა ინტერვიუს პროცესში განხილული ფაქტობრივი გარემოებები.
ექსპერტმა ისაუბრა სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“. მისი თქმით, მე-3 სტანდარტის ყველა კომპონენტი შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“, გარდა 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) კომპონენტისა, რომელიც შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საბოლოო შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. აქვე, დასძინა, რომ სკოლას შესათანხმებლად ოთხჯერ ჰქონდა შესწორებული წესი წარდგენილი სამინისტროსთან, თუმცა გარკვეული დეტალები კვლავ საჭიროებდა დახვეწას.
ექსპერტის, გიორგი ნებიერიძის, თქმით, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. აქვე დასძინა, რომ გაცემული ორივე რეკომენდაცია სკოლას შესრულებული ჰქონდა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინტერვიუს პროცესში მოსწავლეები განსაკუთრებით აქტიურობდნენ და მათი აქტიურობა დოკუმენტებითაც დადასტურდა.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლა მრავალპროფილურია და თანამედროვე მიდგომებზე დაყრდნობით აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას. სკოლას, ასევე აქვს გაძლიერებული მათემატიკური მიმართულება და

ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. მოსწავლეებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ ოლიმპიადებში. სკოლა ასევე სისტემატურად ახორციელებდა STEM პროექტებს.
ექსპერტმა მადლობა გადაუხადა სკოლის წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
მშობლის წარმომადგენელმა, ლალი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ წინა, 2024 წლის ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემული რეკომენდაციები იყო შესრულებული და ამ დასკვნამდე ექსპერტები მივიდნენ მშობლებთან, მოსწავლეებთან და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე. მისი თქმით, 3.4.1.4 ეხებოდა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს და 3.4.1.6 პერსონალურ მონაცემთა დაცულობას, და მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, რა შეკითხვები იყო დასმული და რა პასუხები მიიღო, კერძოდ, რა ფაქტობრივი მტკიცებულებები იყო დასახელებული, რის საფუძველზეც მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა სრულ შესაბამისობას.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოება იყო გეგმიური მონიტორინგი და მათ დაადგინეს შესაბამისობა იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი მექანიზმი და პროცესების მართვის უნარი. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა სტანდარტთან შესაბამისობა. აქვე, დასძინა, რომ სკოლას ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა ექსპერტები ვერ შეისწავლიდნენ მის კომპეტენციას, ექსპერტები ამოწმებდნენ ინსტრუმენტს და ეს ინსტრუმენტი სკოლას გააჩნდა.
წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი შეკითხვა არ ეხებოდა 2024 წელს დასრულებულ ადმინისტრაციულ წარმოებას და იქ დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებს. კონკრეტულად აინტერესებდა რა კითხვები იქნა დასმული, მაგალითად ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო რომელი ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევით დადგინდა.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, გამოიკვლია რა ღონისძიებებს ახორციელებდა კონკრეტული პირი. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა რომ აღნიშნული პირი სტანდარტის შესაბამისად ახორციელებდა საქმიანობას.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე და თითოეულ სტანდარტთან მიმართებით ჩაღრმავებული კითხვების დასმა შეეძლოთ საბჭოს წევრებსაც. მისი თქმით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეამოწმეს თითოეული ინდიკატორის ის მტკიცებულება, რაც იყო სკოლაში, ასევე ყველა მხარეს გაესაუბრნენ და შინაარსობრივ ნაწილში თუ გასაუბრება როგორ ჩატარდა და რა კითხვები დაისვა, მსჯელობას წაიყვანდა შორს და არ იქნებოდა მართებული.
წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როცა დაისვა კითხვა იმის თაობაზე, ჰქონდათ თუ არა საბჭოს წევრებს შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან, არც ერთ საბჭოს წევრს არ ჰქონდა კითხვა ექსპერტების მიმართ. მისი თქმით, კითხვა ეხებოდა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. აღნიშნული საკითხი იყო არსებითი, და ამის საფუძველზე უნდა მიეღო მშობელს გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც მითითებული ჰქონდა არაერთ კორესპონდენციაში.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ მათ ჩაატარეს ინტერვიუ ფსიქოლოგთან, გამოიკვლიეს და შეაფასეს ყველა გარემოება და ვერ შევიდოდა მსჯელობაში იმ საკითხებზე, რომელიც ეხებოდა წინა წარმოებაში გამოკვლეულ გარემოებებს.
წარმომადგენელმა ზემოაღნიშნულის აღწერა ითხოვა ნოემბრის თვეში დადგენილი გარემოებების შესაბამისად.

ექსპერტის თქმით, ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს დოკუმენტაცია, ჩაატარეს გასაუბრება ფსიქოლოგთან, გამოითხოვეს ყველა მასალა და ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების შესახებ და სწორედ აღნიშნულის შესაბამისად გააკეთეს დასკვნა.
მისი განმარტებით ავტორიზაცია და მონიტორინგი არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესი და ექსპერტებს არ ჰქონდათ უფლება სუბიექტური აზრით ემოქმედათ. მისი თქმით, ყველაფერი იყო დასკვნაში ასახული და დაინტერესებულ მხარეს შეეძლო გაცნობოდა აღნიშნულს. სხვას ვერაფერს დაამატებდა, რადგან სცილდებოდა მისი, როგორც ზოგადი განათლების ექსპერტის კომპეტენციას.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით წარმოდგენილი იყო ყველა შესაბამისი მტკიცებულება.
წარმომადგენელი დაინტერესდა, დოკუმენტაცია, რომელიც გამოითხოვეს ექსპერტებმა და გაეცნო საბჭო, როდის იქნა მიწოდებული საბჭოს წევრებთან, დაინტერესდა მხოლოდ დასკვნას იცნობდნენ საბჭოს წევრები თუ მტკიცებულებებსაც.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ როგორც დასკვნას, ასევე მტკიცებულებებს. მისი თქმით წარმოდგენიდან სხდომის გამართვამდე მინიმუმ 10 დღე ჰქონდათ საბჭოს წევრებს მასალების გაცნობისთვის.
წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიიღეს ელექტრონული შეტყობინება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლისგან, სადაც აღნიშნული იყო, რომ შეეძლოთ საბჭოს სხდომაზე დასწრება და პოზიციის დაფიქსირება, თუმცა ისინი არ იცნობდნენ დასკვნას და შესაბამის მტკიცებულებებს. წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს, მათი მოსაზრებით, როგორ უნდა დაეფიქსირებინა პოზიცია მომჩივან მხარეს, როდესაც არ იცნობდნენ მასალებს, რომელიც დაინტერესებულია ბავშვი დაუბრუნოს მის გარემოს, არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი როგორ უნდა დარწმუნდეს, რომ სკოლაში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭოს სრულად ეგზავნება მასალები და ინფორმაცია და იმის თაობაზე, დაინტერესებული მხარე ინფორმირებულია თუ არა, მას არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ წარმომადგენელს განუმარტა, რომ მათ შეეძლოთ დოკუმენტაციის გამოთხოვა.
წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომჩივანი მხარე უნდა იცნობდეს საკითხთან დაკავშირებულ ყველა მასალას, მისი განმარტებით, მათ მოთხოვნილი ჰქონდათ წარმოების ფარგლებში არსებული ყველა მასალა.
აქვე, მშობლის წარმომადგენელმა მიმართა ექსპერტებს, რომ ინტერვიუს დროს მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2024 წლის 02 დეკემბრის შემდგომ, როდესაც შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, არ იყო სკოლაში ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო და მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინა რატომ არ გამოიკვლიეს ახალი გარემოებები, რომელიც ეხებოდა დაინტერესებული მხარის მეორე არასრულწლოვან მოსწავლეს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა საბჭოს სხდომა, მისი თქმით საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი მასალებისა და ზეპირი განხილვის საფუძველზე, ეს არ იყო სასამართლო სხდომა და საბჭოს წევრები არ იყვნენ მოსამართლეები და თუ სამომავლოდ მიიჩნევდნენ, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ან არ იქნებოდა სწორი და მართებული, დაინტერესებულ მხარეს ექნებოდა საშუალება გაესაჩივრებინა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი პროცედურებს კარგად იცნობდა და შეკითხვა დაუსვა არა საბჭოს წევრს, არამედ ექსპერტს.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ექსპერტებს ბრძანებით განუსაზღვრავდა შემოწმების ფარგლებს, აღნიშნულ ბრძანებაში არ იყო ასახული რომ ექსპერტთა ჯგუფს ევალებოდა კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებით არსებული გარემოებების მოკვლევა და აღნიშნული სცილდებოდა

ექსპერტთა კომპეტენციას. მისი თქმით ექსპერტები ამოწმებდნენ ინსტიტუციურ სტანდარტებს და ექსპერტთა ჯგუფის ფუნქცია არ იყო სხვა საკითხების გამოკვლევა. მან აღნიშნა, რომ რომელიმე კონკრეტული მოსწავლის საჩივრით არ შესულან სკოლაში.
წარმომადგენელმა დააფიქსირა პოზიცია და აღნიშნა, რომ 2024 წლის 02 დეკემბერს, როდესაც შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, არ იყო დაცული ავტორიზაციის დებულების დანართით დადგენილი სტანდარტი, რომლის თანახმადაც 3.4 სტანდარტის დაცულად მიჩნევას ესაჭიროება, რომ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა იყოს „სრული“, „მეტწილი“ შესაბამისობა არ განიხილება, როგორც სტანდარტთან შესაბამისობა. ის გარემოება, რომ სკოლას 02 დეკემბერს ჩაენიშნა განმეორებითი მონიტორინგი, მიუთითებდა იმაზე, რომ სკოლაში ყველაფერი არ იყო სტანდარტთან შესაბამისი. მისი თქმით, ვერ მოისმინა კონკრეტული არგუმენტი თუ რის საფუძველზე და მტკიცებულებაზე დაყრდნობით უზრუნველყოფდა სკოლა 4.1.4 და 3.4.1.6 სტანდარტების დაცულობას. მან აღნიშნა, რომ გამოითხოვდნენ წარმოების მასალებს, პრეზენტაციით კი არ დასტურდებოდა, რომ სკოლა აღნიშნული მიმართულებით შეესაბამებოდა სტანდარტს, არ იყო წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები და ფაქტები ამიტომ არ მიაჩნდა, რომ წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. იქვე, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭომ 2024 წელს დაუშვა შეცდომა და არ გაითვალისწინა „განათლების ხარისხის განვითარების კანონის“ მე-15 მუხლი, რომლის თანახმადაც როდესაც საკითხი დგებოდა სტანდარტთან შესაბამისობის თაობაზე, სკოლას უნდა მიეცეს 60 დღე, რომლის ფარგლებშიც უნდა გამოასწოროს ხარვეზები. მისი თქმით, საბჭო უნდა მოქცეულიყო მე-15 მუხლის შესაბამისად და სკოლას ექნებოდა მეტი მოტივაცია ხარვეზების აღმოფხვრისთვის, რაც არასრულწლოვანს მისცემდა საშუალებას დაბრუნებულიყო მისთვის ორგანულ, მშობლიურ გარემოში. ამით, საბჭო აირიდებდა თავიდან იმას, რომ დამატებითი ზიანი არ მიეყენებინა ბავშვისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება, რომელზეც საუბრობდა წარმომადგენელი, არ იყო მიღებული მოქმედი საბჭოს მიერ.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის საუბრობდა საბჭოზე, როგორც ინსტიტუციაზე და არა კონკრეტულ წევრებზე.

საბჭოს წევრები გადავიდნენ სათათბირო შესვენებაზე, თუმცა მშობელმა, თამარ საბულუამ ითხოვა სიტყვა და კვლავ დაბრუნდნენ.

ქალბატონმა, თამარ საბულუამ, აღნიშნა, რომ 2025 წლის 28 ნოემბერს, ზუმის პლატფორმის მეშვეობით შეხვედა ექსპერტებს და იგი ვერ ხვდებოდა აღნიშნული შეხვედრის არსს, ვინაიდან შეხვედრაზე გააჟღერა ის საკითხები და გარემოებები რომელსაც უნდა მიქცეოდა განსაკუთრებული ყურადღება და იქნებოდა გათვალისწინებული და გაზიარებული. მისი თქმით, ის საკითხები, რომელიც აინტერესებდა როგორც მოსწავლის მშობელს, არ იქნა გამოკვლეული. აქვე, მიმართა ექსპერტს, რას ემსახურებოდა წინასწარი შეხვედრა და რატომ მოაყოლეს ის ფაქტები, თუკი ვერ გამოიკვლევდნენ მონიტორინგის ფარგლებში.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ შეხვედრა შედგა ცენტრის შუამდგომლობით და როგორც ექსპერტები ვერც დაადასტურებდნენ და ვერც უარყოფდნენ გასული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ მასალას. ექსპერტმა გადაამოწმა მიმდინარე წარმოების ფარგლებში ბრძანებით დადგენილი სტანდარტები და შესაბამისი მექანიზმები რომლითაც უნდა იმუშაოს სკოლამ და ის, რომ გადაემოწმებინათ სხვა მოსწავლესთან დაკავშირებული საკითხები, არ იყო გათვალისწინებული ბრძანებით. შეხვედრის ფარგლებში კი ექსპერტებს არ მიუციათ დაპირება, რომ აუცილებლად მოიკვლევდნენ სხვა საკითხებს. აქვე, განმარტა, რომ ექსპერტები მოქმედებდნენ ექსპერტის სტანდარტით და იმ ბრძანების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:22
დასრულების დრო: 16:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის (ს/კ: 211360141) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 28 იანვარი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილება მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პრეზენტაციისა და შესწავლილი მასალების საფუძველზე. მისი თქმით, ვინაიდან არც ერთ სტანდარტში არ ფიქსირდებოდა სტანდარტთან „შეუსაბამობა“ უნდა შეწყვეტილიყო მონიტორინგის წარმოება.

6. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N1598555 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 240 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 33.

ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის შენობის ერთი ფლიგელი იყო დაზიანებული (საფრთხის შემცველი იყო შენობის პირველ სართულზე განთავსებული სპორტული დარბაზი), დაბზარული იყო კედლები და ჭერი, აყრილი იყო იატაკი, ასევე სკოლას არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, შენობაში შესასვლელი და შიდა სივრცეში გადასაადგილებელი პანდუსები (არ იყო ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისთვის), არ ჰქონდა რესურსოთახი და ვერ უზრუნველყოფდა სსსმ მოსწავლისთვის შესაბამისი სერვისის მიწოდებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ ნაწილობრივ იყო შესრულებული ის რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვებას, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შემუშავებას.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იყო ასახული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში.

ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებული იყო ერთ-ერთი ფლიგელის საფრთხისშემცველი მდგომარეობის შესახებ, რის გამოც აღნიშნულ მონაკვეთში მოსწავლეთა გადაადგილება შეზღუდული იყო.

სკოლის დირექტორის ცისნამი აზრუმელაშვილის თქმით, აღნიშნული სივრცე დაკეტილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, თუ როდის იყო დაგეგმილი სკოლის რეაბილიტაცია.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მიმართული ჰქონდა ყველა პასუხისმგებელი ორგანოსთვის და პასუხს ელოდებოდა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, როგორ აკონტროლებდნენ უსაფრთხოებას აღნიშნულ ტერიტორიაზე.

სკოლის დირექტორის თქმით, ტერიტორია კონტროლდებოდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 16:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის (ს/კ: 230867087) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 28 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის დეკემბერში ელექტრონული კატალოგის შექმნისა და შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობისადაპტირებისა და რესურსოთახის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონული
ფორმატი
ელექტრონული